



რვაენი

ფრთვა

“NOTRE DRAPEAU”

832
1959

დაარსებულია ნოე ჟორდანიას მიერ.

N° 29

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- კ. კანდელაკის გარდაცვალება და დაკრძალვა.
- აკ. ჩხენკელის სიტყვა—ჩემო კოწია.
- რ. არსენიძე—ორი მეგობრის ხსოვნას.
- კ. ქავთარაძე—კ. კანდელაკი.
- ანტონ უღრუჯლიანი—მეგობრის ხსოვნას.
- სამძიმრის დეპეშები და წერილები.
- გვირგვინები.
- გრ. ურატაძე—კოწია და აკაკი.
- ხეხიპატრ ასათიანი—აკაკი ჩხენკელის ხსოვნას.
- აკაკი ჩხენკელის დასაფლავება.
- სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.
- გვირგვინები.
- გრ. ურატაძის გარდაცვალება.

პარიზი.

თებერვალი.

Paris.

1959

კ. კანდელაკის გარდაცვალება და დაკრძალვა

კოწია ხშირად ავადმყოფობდა გულის ავადმყოფობით. მაგრამ უკანასკნელ წელს ავადმყოფობა მეტად მოერია. მდგომარეობის მიხედვით ექიმობასაც არ აკლებდა ხელს, მაგრამ იმედი გაჯანსაღების არც ისე დიდი იყო. ყოველ წელს, ზაფხულობით, ერთი თვით მაინც, მიდიოდა ლოზანაში მისი ავადმყოფობის ცნობილ სპეციალისტთან საექიმოთ. წელსაც გაემგზავრა, თუმცა ცოტა მოგვიანებით.

11 სექტემბერს მოგვწერა: «ჩემი ჯანმრთელობის საქმე კარგათ ვერ წავიდა», «სხეულში წყალი ჩამიდგა. «ამ მოულოდნელმა გარემოებამ წაიღო ჩემი საშუალებების დიდი ნაწილი», «სანამ მოვახერხებ მაინც მინდა აქ დავრჩე», «ახალი სახსარი არავისაგან არ მიმიღია».

აქედან ჩვენ მივწერეთ, რომ დარჩეს და განაგრძოს ექიმობა, სახსარს გამოენახავთ. რამდენიმე ხანში ვიშოვნეთ პატარა თანხები და გადაუგზავნეთ. ვამედოვნებდით, უფრო მეტის შოვნას, რომ გაჯანსაღებამდე მოახერხოს დარჩენასანამ ნაშოვნი ფულის მიღების ფორმალური მხარეები იქნებოდა შესრულებული, კოწიასაგან მივიღეთ 2 ოქტომბერს დაწერილი. მეტათ მოკლე წერილი: «ავიბარგე და პარასკევს პარიზში ვიქნები»-ო. დანიშნულ დროს ველოდით, მაგრამ არ ჩამოვიდა. საჩქაროთ შევეკითხეთ ლოზანაში კოწიას დიასახლის ქ-ნ დელიუზს მიზეზი დაგვიანების, რის საპასუხოთაც მივიღეთ მისგნით თავზარდამცემი ცნობა: «სანამ მატარებელში ჩავსხდებოდით, ვისადილეთ სადგურის «ბუფეტში», ცუდათ შეიქნა. გულწასული დაეცა იატაკზე და გაუსკდა მარჯვენა თვალთან კანი. იმ წამსვე მოვიდა პოლიცია და ამბულანსი, წავიყვანეთ პირველ დახმარებისთვის კანტონალურ საავადმყოფოში, სადაც მას დიდის ყურადღებით და მზრუნველობით შემოეხვიენ პოსპიტალის სხვადასხვა დარგის ექიმები», «პურილობა შეუხვიეს, გაშინჯეს რადიოთი. გულის ავადმყოფობის ექიმმა აღნიშნა, რომ მარცხენა გვერდში ჩადგომია წყალი, რასაც გამოუწვევია წნევის გადიდება და ამის გამო ჩაქცევია სისხლი თავში. ჯერაც გრძობაზე არ მოსულა, სწუხს და საუთქავს სუსტათ».

ამ წერილის მიღებისთანავე შეიკრიბენ კოწიას ახლომეგობრები და თანამშრომელნი და გადასწყვიტეს გაეგზავნათ ვინმე სასწრაფოთ ლოზანაში და კიდევაც მიმართეს ნოე ცინცაძეს წასულიყო საჩქაროთ და მიეღო ყველა საჭირო ზომები. სანამ ნ. ცინცაძე მგზავრობის ზოგიერთ ფორმალურ მხარეს მოაგვარებდა—მოვიდა ცნობა რომ კოწია გარდაიცვალა ისე, რომ არ მოსულა გონზეო, მხოლოდ უკანასკნელ წუთში



ბ. ვ ა ნ დ ე გ ლ ა ვ ი
(1883—1958)

რამდენჯერმე წარმოსთქვა: «ვაიმე დედა», «ვაიმე დედა». გვეწრდა ქალბატონი დელიუზი.

ეს სამწუხარო ცნობა სწრაფად მოედო მთელ ქართულ კოლონიას და იმავე დღეს შესდგა პოლიტიკურ პარტიათა და ჯგუფთა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც დაადგინა ნეშტი კოწია კანდელაკისა გადმოსვენებულ იქნეს პარიზში და ეთხოვოს ნ. ცინცაძეს წავიდეს ლოზანაში და მიიღოს საამისო საჭირო ზომები. ეცნობა აგრეთვე ხ. შავიშვილს ქენევაში, ჩავიდეს ლოზანაში და მიიღოს მონაწილეობა გადმოსვენების მოსაგვარებლად. ამავე დროს თათბირმა დაადგინა შედგეს პარტიათა წარმომადგენელთაგან დასაფლავების სათანადოთ მოსაწყობათ საგანგებო კომისია. კომისიამ დაადგინა კ. კანდელაკის ნეშტი დასაფლავებულ იქნეს ლევილის «ძმთა სასაფლაოზე», დასაფლავების დღეთ დაინიშნოს შაბათი, 4 საათზე, რათა ყველას ექნეს შესაძლებლობა დასაფლავებანე დასწრების, წარმოთქმულ იქნეს მხოლოდ ერთი სიტყვა, როგორც სიმბოლო მთლიანობის და ერთობის და ამ სიტყვის თქმა მიენდოს საქართველოს ყოფილ ელჩს აკაკი ჩხენკელს, როგორც ამსახველს საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენობისას.

კ. კანდელაკი გარდაიცვალა 11 ოქტომბერს ლოზანაში, 14 ოქტომბერს მისი ნეშტი ჩამოსვენებული იქნა ლოზანიდან და დასაფლავების დღემდე დასვენებული ლევილის შატოს დიდ ზალაში, დაფარული ცოცხალი ყვავილებით. შაბათს 18 ოქტომბერს, მრავალ-საზოგადოების თანადასწრებით, როგორც უცხოელების, ისე ქართველების, მამა ილიასაგან გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი, გალობდა ქართული გუნდი. დაახლოებით ხუთ საათზე სამლოციარო პროცესია შატოდან ნელის ნაბიჯით სასაფლაოსაკენ დაიძრა. კათაფალკა დაფარული იყო გვირგვინებით და თაიგულებით.

სასაფლაოს კარებთან კუბო გადმოსვენებული იქნა კათაფალკიდან და მეგობრებმა გუნდის გალობით ხელით მიასვენეს ახლად გაჭრილ საფლავამდე. აქ მცირე პანაშვიდის შემდეგ, თანახმად დადგენილებისა, სიტყვა წარმოსთქვა აკ. ჩხენკელმა, რომელმაც რამდენიმე ფრაზა თვითონ წარმოსთქვა, დანარჩენი გადასცა ამხ. გრ. ურატაძეს, წასაკითხავად (ეს სიტყვა აქვე იბეჭდება). წაკითხულ იქნა აგრეთვე სამგლოვიარო დებუებები და წერილები, რის შემდეგ საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრის კოწია კანდელაკის ნეშტი ჩამოსვენებული იქნა უცხო ქვეყნის მიწაში იმ ურყევი იმედით, რომ განთავისუფლებული საქართველო. სხვებთან ერთად მის ცხედარსაც წაასვენებს სამშობლოში და იქ, საქართველოს პანთეონში, მას სათანადო ადგილს მიუჩენს.

ჩ ე მ ო კ ო წ ი ა

(ა. ჩხენკელის ხიტყვა კ. კანდელაკის დახაფლავებაზე).

მე არ მოველოდი თუ შენი ცხედარის წინ მომიხდებოდა დგომა, იმდენად უფროსი ვარ შენზე ხნოვანობით. შენი დაკარგვით—მე ვკარგავ ჩემს საუკეთესო მეგობარს და თანამებრძოლს. თვითეული ჩვენი შეხვედრა ხომ მუდმივი საუბარი იყო ჩვენი ქვეყნის ხვედრზე და მის მომავალზე, თუმცა არასოდეს გვავიწყდებოდა ჩვენს ბედში მყოფი მეზობელი—კავკასიელებიც.

ბატონებო! თუ რა ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს ჩვენი ქვეყნის წინაშე—უნდა წარმოიდგინოთ ჩვენი ქვეყნის იმ დროის მდგომარეობა: ახლად ფეხზე დამდგარი ნორჩი რესპუბლიკა მოწყვეტილი მთელ სამყაროს; ომისაგან გაჩაჩანაგებული ჩაკეტილი მეურნეობა; ირგვლივ სილატაკე; ერთი მოწყურებული სახელმწიფოს აღმშენებლობას. ასეთ დროს საჭირო იყო ამ პირობებთან შეფარდებული საფინანსო და სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც გამოიყვანდა ქვეყანას ამ მძიმე მდგომარეობიდან. კ. კანდელაკმა ეს შესძლო ჩინებულათ, რის შედეგად ჩვენმა ქვეყანამ იმ აფორიაქებულ დროში მოიპოვა ისეთი ნდობა, რომ მას უდიდესი სახელმწიფოს საქარდითო დაწესებულება აძლევდა სესხს, რომელიც საქმარისი იყო ჩვენი რესპუბლიკის ვალიუტის გასამართლებლად.

რაც შეეხება უცხოეთს—ჩვენ ხომ აქ ყველანი მოწამენი ვართ იმ შეუწყვეტელი და ენერგიული მუშაობის, რომელსაც იგი აწარმოებდა. აქ მან სხვა მის შრომებთან ერთად გამოსცა ინგლისურ ენაზე ისეთი წიგნი, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ ბილანს ჩვენი მთავრობის მოღვაწეობისას, როგორც იქ, საქართველოში, ისე აქ, უცხოეთში.

განსაკუთრებულათ მწვავე და დრამატიულ დღეებში უკანასკნელი ომის დროს, მან ჩვენი მთავრობის დავალებით შეადგინა ისეთი აქტი, რომელმაც გადაარჩინა ქართველი ებრაელობა მოსკობას.

პრეზიდენტი ნ. ყორდანიას და საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორის გარდაცვალების შემდეგ—განსვენებულის პასუხისმგებლობა საგრძნობლად გაიზარდა. მას უხდებოდა ბრძოლა ორ ფრონტზე: ბრძოლა სიკვდილის წინააღმდეგ და ბრძოლა ქართველი ერის უფლებების სადარაჯოზე. და უკანასკნელ სულის მოთქმამდე ის მთელი არსებით ერდგული დარჩა იმ აღთქმისა და დავალების, რომელიც მიიღო მან ქართველი ერისაგან.

ძვირფასო კოწია! დარწმუნებული ვარ მთელ ქართველობისათვის შენი ხსოვნა იქნება დაუვიწყარი.



მ რ ი მ ე მ ო ბ რ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს .

კოწია კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი.

ცხოვრებამ ორივე გადააბა ერთმანეთს, კარგი მეგობრები და ერთგული შვილები თავის ერისა. უღმობელმა სიკვდილის ცელმაც ერთი მეორეზე გამოუარა, რომ ორივენი ასე გულდასაწყვეტად ასე ერთი-მეორეს მიყოლებით მოეტაცა ჩვენთვის.

რომელი ერთი უნდა ვიგლოვო?

კოწია კანდელაკი! ჩემი სკოლის ამხანაგი, მრავალ წლებით ერთად შეზრდილი—სამუდამოთ დავრჩით მეგობრულად. არასოდეს უბრალო დავის აზრდილსაც არ გაუვლია ჩვენს შორის. ის ხომ წყნარი იყო. გულმოდგინე მუშაკი, უხმაური მოღვაწე, თავის ერის საქმისთვის თავდადებული!

ფინანსთა მინისტრი საქართველოსი? დიახ, მაგრამ მეტიც... რა მორიდებით მოვიდა ის ამ თანამდებობის ასრულებასზე! რჩეობდა ისევ მინისტრის თანამდებობით დარჩენილიყო. მაგრამ რაკი მოკიდა ხელი, მთელი თავის სული და გული ჩადვა ამ საქმიანობაში. თავი არ ახსოვდა. ფინანსებს აწესრიგებდა ქვეყნისათვის, დამოუკიდებელ საქართველოს გამაგრებისათვის. ეს იყო მისთვის ეროვნული ღვაწლი და დიდი შედეგების მიღწევის ყველა საბუთი გვექონდა, როცა ცივმა ჩრდილოეთის ქარმა ჩააქრო ჩვენი ერის თავისუფლების ალი! მისმა მოგზაურობამ ევროპაში გაუხსნა კრედიტი პატარა, ახლად ფხადგმულ საქართველოს ისეთ ქვეყანაში, როგორც ინგლისია. მაშინ ხომ პატარა ქვეყნების ეკონომიური აღორძინება ევროპას არ ჰქონდა კიდევ მიღებული თავის პოლიტიკის საფუძვლად. კრედიტს აძლევდნ მხოლოდ მას. ვისი ნდობაც ქონდათ. ეს ნდობა მოუპოვა საქართველოს კოწია კანდელაკმა. მარტო ეს ერთი ფაქტი კმარა მისი მოღვაწეობის დასაანსიათებლად, მისი დამსახურების აღსანიშნავად.

შემდეგ ემიგრაციაში მოხვდა. რას აკეთებდა აქ და როგორ, ეს ყველამ იცის. ისტორია აღნიშნავს მის გულდადებულ, მუყაით შრომას ჩვენი ჩაგრული ერის უფლებათა აღდგენისათვის. მას საქართველოს დროშა დაბლა არ დაუშვიდა და იგი ახალ თაობას უანდერძა.

გული მომწყვიტა მისმა დაკარგვამ. მის საფლავზე სიტყვა არ მითქვამს, მაგრამ მთელი ჩემი არსება კრთოდა და მწვავე გულისტკივილით ესაღმებოდა სიყრმის მეგობარს, რომელთანაც მავრთებდა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის საერთობრძოლა და თანამშრომლობა. ღირსეულს, ღირსეული ექნება ხსენება და სახელი!

ხოლო აკაკი ჩხენკელი! ეს ჩაუქრობელი ცეცხლი, მუდამ აღტყინებული, მუდამ მღელვარე—რამ დაადუმა? ეს დაუდგარი მებრძოლი, რომელსაც დიპლომატიური ელჩის როლიც ვერ აჩერებდა, ვერ ამშვიდებდა როცა საქმე საქართველოს უფლებებს ეხებოდა! სად, რა პირობებში, რა მდგომარეობაში არ მინახავს იგი! თავმდაბალი თანამშრომელი ვაჭეთის, კორესპონდენტი უცხოეთიდან, ეროვნული საკითხის მთავარი ინიციატორთაგანი, დეპუტატი, პარლამენტიორი, მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო მინისტრი, ელჩი საქართველოსი! ის ყველგან და ყოველთვის იყო დიდი პატრიოტული გრძობებით აღვსებული. საქართველოს სოციალდემოკრატიას შეუძლია იამაყოს, რომ იგი მის რიგებს ეკუთვნოდა! ქართველ ერს შეუძლია იამაყოს, რომ ასეთი შვილი და მოღვაწე აღწარდა! იყო დრო, როცა ის თავის ეროვნული მისწრაფებებით გამაირჩეოდა სოციალდემოკრატიული პარტიის უმრავლესობისგან. მაგრამ მას ღრმად სწამდა, რომ საქართველოს ბედი ამ პარტიასთან იყო დაკავშირებული და ის მასზე იყო მტკიცეთ ხელჩაჭიდებული.

მახსოვს, როცა ბათუმის ოლქში მისი კანდიდატურა იქნა წამოყენებული რუსეთის სახელმწიფო დუმაში გასაგზავნად, არავის ეჭვი არ შეპარვია, რომ იგი ღირსეული წარმომადგენელი იქნებოდა სოციალდემოკრატიული პარტიის და ქართველი ხალხის!

და რა დიდებულათ გაამართლა მან იმეთ სოც.-დემოკ. პარტიის და მთელი ქართველი ხალხის. რა მხურვალე დამცველი იყო ეროვნული საკითხის, ქართული საკითხის. რა მედგარი მებრძოლი სოციალური და ეროვნული სამართლიანობისთვის!

რამდენი მოგონება ტრიალებს ჩემს გონებაში, თავს ვინ მოუყრის. რომ ვწერ, ჩემს გულს ვაკვებები, რომ ის აღარა გვყავს. თუნდაც არაფერი ეკეთებია, ოღონდ ცოცხალი გვყოლოდა, ოღონდ მისი სახელი გვექონოდა სიმბოლოთ. მისი სიყვარული ერისადმი—სანიმუშოდ. ესეც კმაროდა.

რა უნდა ვუთხრა ჩვენს ძვირფას მაკრინეს, მის მეუღლეს. ან რით ვანუგეშო მისი შვილი და რძალი, ან კიტას როგორ შევხვდე, რომ აკაკის დასაფლავებას ვერ დავესწარი. ეს არ მომსგლია უგულობით. არა, ვერ შევძელი! დაბრკოლება შემხვდა მრავალი.

თუ სიტყვებს აქვს რაიმე ძალა, ვეუბნები ყველას: მის მახლობლებს, ჩვენ სოც.-დემ. პარტიას, ყველა პოლიტიკურ მიმართულებას, მთელ ქართველობას:

დიდი ქართველი დავკარგეთ! საუკეთესო ძალა გამოგვეცალა ხელიდან!

ვისაც აკაკის პატივისცემა სურს, ვისაც მისი ხსოვნის და სახელის დიდება სურს, საქართველოს მიხედოს, მისი ანდერძი ასრულოს. ჩვენი ერის სუვერენობისთვის ბრძოლა შეფიცოს და ფიცი მტკიცედ დაიცვას!

რ. აბხენიძე.

კ. კანდელაკი.

კ. კანდელაკი მიიცვალა; მძიმე დანაკლისია. კიდევაც მისი მეგობრები და ყველა ქართველი მწუხარებით და სევდით აცილებს მის ცხედარს საუკუნოთ განსვენების ადგილს.

მოსკოვში უმაღლესი კომერციული სასწავლებლის დარულენისას, კოწია ბრუნდება თავის ქვეყანაში, მონაწილეობს და მეთაურობს კოოპერატიულ მოძრაობას საქართველოში და ფართეთ, ღრმათ ეცნობა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ვითარებას. იმ წრეში, რომელსაც კოწია იდეოლოგიურათ ეახლოვება, ის მიღებულია და სამართლიანათ დაფასებული როგორც დიდი მცოდნე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო კითხვების.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან კოწია კანდელაკი წევრია იმ ეკიპის, რომელიც საგანგებო სიყვარულით და უკიდურესი თავგანწირვით იწყებს ქართულ სახელმწიფოს აღდგენის და მისი შენების საქმეს.

ამ ეკიპში კოწიას განსაკუთრებით მძიმე მოვალეობა დაეკისრა, ის ფინანსების და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრია; ის მთავარი კალატოზია, მან სახელმწიფო შენობას საფუძველი უნდა ჩაუყაროს, ძირი მტკიცეთ უნდა გაუმაგროს. კარგი ფინანსები, ჯანსაღი ეკონომიკა, ეს ხომ მთავარი საფუძველია სახელმწიფოს სიმაგრის და ხალხის კმაყოფილების.

კომპეტეცია კ. კანდელაკის ამ მხრივ ამ დარგში სრულია: ერუდიცია მდიდარი, განათლება მაღალი, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო კითხვების ღრმა ცოდნა, ამავე დროს ბეჯითი და გამრჯე.

ეკიპი შეწყობილათ მუშაობს, ქართული სახელმწიფო შენდება, ერი კმაყოფილია, აღფრთოვანება ძლიერია, ერის ყველა ფენები ამ ეკიპთან დგას და საერთო ეროვნულ აღორძინების საქმეს ერთათ, სოლიდალურათ აკეთებენ. მომავალი იმედია, პერსპექტივა ფართეთ გაშლილია. მზე უხვათ აბნევს თავის მღელვარე სხივებს ბარში და მთაში.

არ დაგვაცალეს. მოსკოვის წითელი ჯარი ჩვენ საზღვარს მოადგა, გაიმართა ომი.

დღეს უმოწყალო და უპირო მოსკოვის ჯარი ჩვენ მიწა-წყალს თელავს, მის სოციალ-ეკონომიურ ყოფას თავის ყიდაზე აწყობს და ეფექტიურათ ჩვენი ერის საქმეებს მართავს.

ჩვენი კანონიერი მთავრობა ევროპაში გამოიხიზნა, მისი ამოცანები უმადური და ძნელი, საჭირო და აუცილებელი იყო.

საქართველოს ნიადაგზე შეწყვეტილ ომს მთავრობა განაგრძობს ევროპის მიწა-წყალზე. საჭიროა ჩვენი ერის კანონიერ უფლებებზე ლაღადი და მისი დაცვა, მოსკოვის ვერაგობის და ძალმომრეობის მხილება, მეგობრების შეძენა და სხვ.

ამ ამოცანების შესრულებაში კ. კანდელაკი აქტიურად მონაწილეობს. სიტყვით თუ წერით. ის თავის ნაწერებში განსაკუთრებით უცხო ენაზე ევროპას აწვდის ცნობებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-სოციალურ ვითარებაზე, მის ბუნებრივ სიმდიდრეზე და ხაზს უსვამდა მოსკოვის საექსპანსიო ტენდენციების და მის კოლონიალურ პოლიტიკას.

კოწია კანდელაკი საქართველოს ერდგულად ემსახურა იქ თავის მშობლიურ მიწაზე; აქაც, უცხოეთში, ის დარჩა საქართველოს შეუწყვეტელ სამსახურში.

მან თავის სამშობლოს წინაშე თავისი ვალი სისრულით მოიხადა.

კ. ქავთარაძე.

მ ე მ ო ბ რ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს .

აღარ გვეყავს ჩვენი კოწია!

თუმცა ასეთ ბოლოს—საუბედუროთ—მოველოდი, მაინც მის დაკარგვამ თავზარი დამცა. დაკვარვე ჩემი სიყრმის მეგობარი. 13 წლის ვიყავით ორივენი, როცა ერთი მერეს შევხვდით ქუთაისის სემინარიაში. სემინარიის ახალგაზრდობა იმ ხანაში გატაცებული იყო ახალი, მოწინავე იდეებით. ბევრი ვიჩემბდით მესამე დასელობას და ხან კი სოციალისტებადაც ვაცხადებდით თავიანთ თავს. მახსოვს ვკითხულობდით რევოლიუციურ და აკრძალულ ლიტერატურას. ხანდახან, ღამით ჩუმათ. «არალეგალურად» ვიკრიბებოდით მ. ცხაკაიას «კლუბში». იქ ვხვდებოდით მის წევრებს: მის გარდა, სამ. კალაძეს, პეტრე სურგულაძეს (რომელიც მალე ჩამოშორდა მას) და გიმნაზიელებიდან ჩემს უფროსს ძმას ფილიპეს და ვგონებ პეტია ქავთარაძეს. მაგრამ ჩვენი კოწია ასეთ საქმეში—იმ დროს—არ ერეოდა. კოწია, შემდეგში, სემინარიის დამთავრების მერე და სტუდენტობის ხანაში მიემხრო სოც. დემოკრატიას და გახდა რევოლიუციონერი და კარგი მებრძოლი. მე დამაშორა მას ციხემ (სტუდენტობის დროს) და პირველმა ემიგრანტობამ (1909 წ. გამოვიქეცი რუსეთიდან). საქართველოს განთავისუფლების შემდეგ კვლავ აღვადგინეთ ჩვენი ურთიერთი დამოკიდებულება და მეგობრული განწყობილება.

კოწიას ჰქონდა დიდი ადამიანის საუკეთესო თვისებები; იყო მოვალეობის კაცი, განათლებული, შეგნებული, ცნობის მოყვარე, ნიჭიერი, პატრიოტი, გულწრფელი, პატიოსანი, ერთგული, მიუდგომელი, მომთმენი, თავდაბალი დინჯი და მასთან—რაც წარმოადგენს ადამიანის კარგ თვისებას—მზიარული და ხუმარაც. ის იყო დინჯი მოსწავლე, ბეჯითი და დამჯერე. კეთილსინდისიერათ ამხადებდა გაკვეთილებს. მხოლოდ ერთხელ მიიღო შენიშვნა მასწავლებლისგან და ისიც ჩემი გამოისობით. მე მოვიყვანე კატის კნუტი კლასში დამას

წინ დაუსვი იმ დროს, როცა ის ფეხზე მდგომი გაკვეთილს უპასუხებდა, და აი, მანაც ვერ შეიკავა თავი და გაეცინა. მასწავლებელი გაკვირდა, მას ვერ წარმოედგინა, რომ მისი საუკეთესო მოწაფე ასე «უმინჯოთ» ხარხარებდა! აბა კოწია ხომ ვერ გაუმხელდა მას, რომ მე ვიყავი დამნაშავე და არა ის. აბა, რა თქმა უნდა, კოწიამ დაბეზლება არ იცოდა.

კოწია იყო ზედმიწევნით სასიამოვნო პიროვნება,—მან არ იცოდა თუ რა არის შური, სიძულვილი, ადამიანის ლანძღვა ან ვინმეს დამცირება. პატივით ეპყრობოდა ყველას, მათში მის მოწინააღმდეგეთ. იყო საუკეთესო მეგობარი და კარგი ამხანაგი.

კოწია იყო სწავლული, მეცნიერი: ერთ დარგში—ეკონომიურსა და საფინანსო საკითხებში მას ბადალი არ ყოლია ქართველთა შორის. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ პატარა საქართველო თავისუფალი დარჩენილიყო და გამხდარიყო O. N. U. წევრი, მისი ნაწარმოებები, ეროპულ ენაზე დაბეჭდილი (რომ იქნებოდა) გახდიდა მას ცნობილ ეკონომისტთ. მაგრამ ვინ მიაქცევდა ყურადღებას პატარა ერის—რუსულ ტირანიის მიერ დევნილს, რუსეთის მიერ მათ «კავშირში» ძალით შეთრეულ ერის შვილს! ასეთი ბედი ეწვია სხვა ჩვენ მოღვაწეებსა და მწერლებსაც ემიგრაციაში და იქაც, ჩვენში რომ მუშაობენ!

კოწია არ იყო საკმაოდ ჯანმრთელი. 30 წლის განმავლობაში ის ავითაც იყო გულისა (anjine de poitrine-ითაც) და სისხლის მიღების სენით იყო შეპყრობილი. ბოლოს კი—ზედმიწევნით ფიზიკური მოხუცებულობის ნიშნები დაეტყო. მის ნამეტანი აწუხებდა მისი მდგომარეობა (და არა მარტო მისი თავის) და მეუბნებოდა: «აბა არის რაიმე საშუალება, რომ ცოტათი მოვიკეთო და ინვალიდი არ გახდე. ცოტათი მაინც რომ შევსძლო მუშაობა, რომ ჩვენ საქმეს ხანდახან მაინც შევუხილო?» ასე მისაყვედურებდა ის ხშირათ.

ავვისტოში ვინახულე ის პარიზში და ძლიერ შევწუხდი, ნამეტანი დასუსტებული მეჩვენა. რაც შემეძლო გავამხნევე. მთხოვა სამგზავროთ რამე წამალი მერჩია. ვუჩვენე წვეთები გულის გასამაგრობლათ (უფრო კი მორალურათ დასამშვიდებლათ), უნდა მიეღო გზაში (შვეიცარიაში რომ აპირებდა). «ეხლა უფრო უშიშრათ ვიმგზავრებო» მითხრა მან. არ მემწონდა მისი მოგზაურობა, მაგრამ ვერ ვუტრჩიე დარჩენა, ვერ გაუბედე, ეგებ ამას მეტი ვნება მოეტანა მისი მდგომარეობისათვის. და აი, საუბედუროთ. იქიდან ველარ დაბრუნდა ცოცხალი.

განსვენებულის მოღვაწეობას ჩვენც და სხვებიც მომავალში დავაფასებთ. ამ სტრიქონების მიხანა მხოლოდ მამეგობრის დახასიათება. როგორც ადამიანის პიროვნების.

ეხლა კი ვიტყვი მხოლოდ. რომ ჩვენმა სამშობლომ და კარგა დიდი შვილი, დიდი ქართველი, ჩვენმა საქმემ მისი დი-

დი დამცველი, ჩვენმა პარტიამ ერთი ცნობილი ლიდერი. მე პირადად დავკარგე ძველი, საუკეთესო ამხანაგი და მეგობარი. მწარე ცრემლით ვსტირი მას.

ჩემო კოწია, შენ ბედმა არ გარგუნა, რომ სიცოცხლეში გეხილა შენი საყვარელი პატიმარი სამშობლო. მაგრამ განთავისუფლებული ვერ შენს ცხედარს უცხოეთში არ დატოვებს!

მაშ, ძმაო, განისვენე და ხანგრძლივი შრომის შემდეგ, დაისვენე. მშვიდობით!

ექიმი ანტონ ქვარცხელიანი.

სამძივრის ღვაწი და წერილები

ა. ხსენგელის, ეროვნული საბჭოს და საქ. ს.-დ. პ.

საზ.-გარეთის ბიუროს სახელზე კვლია კანდელაკის
გარდაცვალების გამო.

1. «ინტერნაციონალური კომიტეტი საქართველოსათვის ქვენვაში»: უღრმესი მწუხარებით აღვნიშნავთ საქართველოს ეროვნული მთავრობის ყოფილი წევრის კოწია კანდელაკის გარდაცვალებას. მიიღეთ ჩვენი წრფელი თანაგრძობა. იყავით მხნეთ. ჩვენ ვიყავით და დავრჩებით ბოლომდე თქვენი ქვეყნის ერდგული დამცველი და დარაჯი მისი ინტერესების...

2. ამერიკული კომიტეტის თავმჯდომარე სერჯანტი (ნიუორკიდან): სულითა და გულით გითანაგრძობთ ამ დიდ ეროვნულ დაკარგვაში. არაა შორს ის დრო, როცა ქართველი დემოკრატია დაუბრუნდება თავის განთავისუფლებულ სამშობლოს და იქ შესაფერი პატივითა და დიდებით შემოსავს განთავისუფლებული საქართველო მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მოღვაწეებს, მათ შორის კოწია კანდელაკსაც.

3. მიუნჰენის რადიო-სადგური «განთავისუფლება»-ს ქართული რედაქციისაგან.

4. მიუნჰენის ინსტიტუტის საბჭოსა და დირექციისაგან (სტანკევიჩი და ბაკალო).

5. კელი—ამერიკული კომიტეტის წარმომადგენელი ევროპაში.

6. ერთა განთავისუფლების ლიგისაგან (აბრამიჩი და თუმანიანი).

7. სომეხთა დელეგაციისაგან (სამუელიანი).

8. აზერბაიჯანელებისაგან (პაჯილბეილი).

9. უკრაინის რადასაგან (იურჩენკო).

10. ილ. გოლდმანი (ნიუორკიდან)—დიდის მწუხარებით განვიცდი საქართველოს მთავრობის წევრის კ. კანდელაკის გარდაცვალებას. მისი ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ჩვენში. განვაგრძობთ მისი გზა.

11. აკ. პაპავა (არგენტინიდგან): სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღლილი გული დადგა. ასწიეთ მაღლა კ. კანდელაკის კუბო. დაადეთ გვირგვინი ერდგულებისა და ერთობის ჩვენი კოლონიისაგან. დავრჩეთ ერდგული მისი გზის.

12. მიუნჰენის ინსტიტუტის პარიზის წარმომადგენელი—დ. კოლშტეინი.

13. საქართველოს ამერიკ. საბჭოს მთელი შემადგენლობა გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას საქართველოს მთავრობის წევრის კ. კანდელაკის გარდაცვალების გამო. თავმჯდომარე—აბაშიძე. მდივანი—არველაძე.

14. ქართველთა სათვისტომოს გამგეობა საფრანგეთში.

15. ქართველთა სათვისტომო გერმანიაში.

16. პროფ. მიხეილ წერეთელი (გერმანიიდგან)—მიიღეთ ჩემი ღრმა მწუხარება, გულისტკივილი ჩვენი ყოფილი მთავრობის ერთი საუკეთესო წევრთაგანის. დიდი კეთილშობილი კაცის და დაუღალავი მოღვაწის ჩვენგან საუკუნოდ განშორების გამო.

17. ლონდონის ქართველთა სათვისტომოს გამგეობისგან.

18. სოშოს ქართული ასოციაციისგან.

19. მიუნჰენის სოც. დემ. ორგანიზაციისგან.

20. სოშოს სოც.-დემ. ორგანიზაციისგან.

21. პარიზის სოც. დემ. ორგანიზაციისგან.

22. ლიონის სოც.-დემ. ჯგუფისგან.

23. თეთრი გიორგის ორგანიზაციის დავალებით კ. სალია.

24. მიუნჰენიდან—ნიკო ნაკაშიძე, ვლ. ცხომელიძე, დ. საღირაშვილი.

25. ამერიკიდან:—ლადო და ნატალია არველაძეები, ისიდორე ხაჯონია, თედ. სარჯველაძე.

26. გერმანიიდგან:—ალ. კორძაია, ალ. ნიკურაძე, მიშა ახმეტელი.

27. ბრიუსელიდან:—დიდის მწუხარებით აღვნიშნავ კ. კანდელაკის გარდაცვალებას ბერიკაშვილი და მისი ოჯახი.

29. ისპანიის მაროკოდან—გრ. ბერიძე.

30. საფრანგეთიდან—კოხსტანტინე გვარჯალაძე, ანტონ ჟორჟოლიანი, გიორგი წერეთელი.

31. აბონდანის ქართველებისგან.

32. ამერიკიდან—პავლე კვარაცხელია.

33. ენევიდგან—ხარიტონ შავიშვილი.

34. ენევიდგან—ედგარ მილო:—თქვენთან ერთად დავსტირი კ. კანდელაკის დაკარგვას. თქვენი მწუხარება. ჩემი მწუხარება. იყავით მხნეთ. საქართველოს წაოსული სრული გარანტიაა მისი მომავლის.

35. ვამინგტონიდან—უქიმი გივი კობახიძე მეუღლით.

36. არგენტინიდან—გოგი ნაკაშიძე: ქართველმა ხალხმა დაპყარგა არამც თუ თავის პოლიტიკური ხელმძღვანელი და დაუღალავი მებრძოლი დამოუკიდებლობის აღსადგენათ, არამედ აგრეთვე უკეთილშობილესი და უსპეტაკესი პირმშო შვილი.

37. ავსტრიიდან (ხალცბურგი)—ერეთეოზ რამიშვილი.

38. ამერიკიდან—ქსენია სასანია: უღმობელმა სიკვიდილმა ქართველი ერის მოღვაწეთა ძველ თაობას კიდევ ერთი დიდი თვალსაჩინო წევრი გამოსტაცა. პუმანიური, სპეტაკი, მრავალტანჯულ სამშობლოს სადარაჯოზე მუდამ მდგარი კოწია კანდელაკის ხსოვნა მუდამ დარჩება, როგორც ერთობის და ურიერთ პატივისცემის მლალადებელი ემიგრაციის ანტიბოლშევიკურ მებრძოლთა რიგებში. მთელ ქართველ საზოგადოებასთან ერთად, ვგლოვობ და თავს ვიხრბი სასიქადულო ერის შვილის კ. კანდელაკის ნეშტის წინაშე.

39. სტამბოლიდან—სანდრო მენაღარი: ტყვედ მყოფ საქართველომ კიდევ დაკარგა უცხოეთში ერთი უდიდესი ხელმძღვანელი და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მეთაური. დიდია დაპყრობილ სამშობლოს მწუხარება ძვირფას კოწიას დაკარგვით. მაგრამ ერის გული დიდია და გამძლეობის წიაღიდან კვლავ წამოიშლებიან ახალ-ახალი დასტა ნოების, ევგენი და კოწიები, რომლებიც უკუღმართ ქარიზსიდან დაბზარულ ეროვნულ ხომალდს სამშვიდობოზე მიიყვანენ. ჩვენს დღევანდელ უბედობაში ეს იმედი უნდა გვამაგრებდეს და გვამხნეებდეს...

გ ვ ი გ ვ ი ნ ე ბ ი

1. საქართველოს სოც.-დემ. საზღვარგარეთელ ბიუროსა და პარიზის სოც. დემ. ორგანიზაციისაგან.
2. საქართველოს ყოფილი გლჩის აკ. ჩხენკელისგან.
3. «ფუაიე ჟორჟიენ»-ისგან
4. ლევილის შატოს მცხოვრებლებისგან.
5. სოშოს ქართული ასოციაციისგან.
6. რადიო-გადაცემა «განთავისუფლება»-ს ქართული რედაქციისგან.
7. პარიზის ქართული სათვისტომოსგან.
8. საქ. სოც. ფედერალისტების პარტიისგან.
9. საქ. ეროვ. დემ. პარტიისგან.
10. საქართველოს ეროვნული საბჭოსგან.
11. თეთრი გიორგის რედაქციისგან.
12. დიდი თაიგული ცოცხალი ყვავილებისგან ილ. გოლდმანის და მისი ოჯახისგან.

კოწიხა და აკაკი.

ალარ გვეყავს ალარც კოწიხა და ალარც აკაკი.

დიდი ხანი არაა მას შემდეგ რაც კოწიხას დასაფლავებაზე აკაკიმ სამგლოვიარო სიტყვა წარმოსთვა. დღეს კი—დახეთ ბედის სიმუნთლეს—ორივეს ნეკროლოგს ერთად ვათავსებთ.

უსაზღვროა ჩვენი მწუხარება, უნუგეშოა ჩვენი ობლობა. მაგრამ მებრძოლ ძალებს არ აქვს უფლება ფართე გასავალი მისცენ პირად გრძობებს, პირად ტკივილებს. ესეც უნდა ავიტანოთ, როგორც ავიტანეთ ბევრი სხვა.

კოწიხას და აკაკის ცხოვრება განუყრელად ჩაქსოვილია ქართველი ერის ისტორიაში. მისი აღწერა შეუძლებელია მოკლე წერილში. ერთი კაბინეტის კაცი, მეორე ტრიბუნი. ერთს უფრო გაშლილი პოლიტიკური ასპარეზი იზიდავდა, მეორეს უფრო კაბინეტის მეცნიერული მუშაობა. მათ ყველაფერზე თავის შეხედულება, თავის აზრი ჰქონდათ და ამ აზრებში მუდამ მოსჩანდა ღრმა დაკვირვება და უაღრესი გულწრფელობა. შური, ამყობა, პატივმოყვარეობა—მათგან შორს იყო. წმიდა მიხანი, წმიდა საშვალებანი—მათი სახარება იყო. ისინი ეკუთვნოდნენ იმ ფაქიზ თაობას, რომელიც აბსოლიუტურად ვერ იტანდა უწმინდურ მიხნებს, კიდევ უფრო უწმინდურ საშვალებებს.

ორივე წავიდა ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი თავის სამშობლოს წინაშე. ორივე წავიდა ისე, რომ იოტის ოდენა იქვე არ გამოუთქვამს ჩვენი საქმის, ჩვენი ბრძოლის უიმედობაში. ვერც ავადმყოფობამ და ვერც მოხუცებამ ოდნავ ვერ შეარყია მათში პოლიტიკური სიმტკიცე და ჩვენი საქმის სამართლიანობის რწმენა.

კოწიხას და აკაკის დაკარგვით ბრძოლის ფურცელი არ დახურულა. მათ მიერ წარმოებულნი საქმე არ შეჩერებულა და არც შეჩერდება, სანამ საქართველო ისევ არ აღსდგება.

«საქმეს მოუარეთო»—გვიანდერძა ყელ გამოჰრიღმა კარლო ჩხეიძემ და ეს ანდერძი უნდა დარჩეს ურყევათ ყველა იმათთვის, ვისაც სწამს თავის ქვეყნის თავისუფლება.

ქართველი ერი უდიდესი მწუხარებით გაიგებს კოწიხას და აკაკის დაკარგვას. მტერი კი ზემს მიეცემა, მაგრამ წამწარდება.

პიროვნებები მიდიან, ერი კი რჩება და ის არ დაცხრება მანამ, სანამ არ აღადგენს თავის საყვარელ სამშობლოს დამოუკიდებლობას.

საქართველო იყო თავისუფალი და კვლავ იქნება.

ერ. ურატაძე.



პ. ჩხენკელი
(1874—1959)

საკაი ჩხენკელის ხსოვნას.

ვინ იფიქრებდა, რომ აკაკი, ჯერ კიდევ მხნედ გამომყურე, მიუხედავად მისი ხნოვანებისა (85 წ.) შეიქნებოდა მსხვერპლი სრულიად უბრალო შემთხვევის. 23 დეკემბერს, დილით, რაღაც უბედურად წაიქცა ოთახში მის ბინაზე. ამ დაცემამ მას, ექიმების და რადიოს ჩვენებით, დაუმსხვრია თქოს თავი, რასაც, რა თქმა უნდა, მოყვა საშინელი და აუტანელი ტკივილები, განსაკუთრებით როდესაც გაინძრეოდა.

ოთხშაბათს, 24 დეკემ. საღამოს გადავიყვანეთ ბუსიკოს საავადმყოფოში. საავადმყოფოში რადიოს გადაღება ნამდვილი წამება იყო. ერთ საათს მაინც გრძელდებოდა ეს ამბავი... საწოლში დაწვანარდა, რაღაც საკითხებზე გველაპარაკა—განსაკუთრებით სიამოვნებდა მას გაერთიანების საკითხის სასურველად დასრულება. ის ხომ ყოველ შემთხვევის დროს იტყოდა ხოლმე—მომასწარით გაერთიანება სანამ ცოცხალი ვარო. შესამე დღეს ბუსიკოში მიყვანისა—მეკითხება—რას ფიქრობ შენ—ვითომ მოვრჩები?—რატომ არ მოვრჩები. ასეთი შემთხვევა სასიკვდილო არ არის მეტი—უპასუხე მე. კი, მაგრამ ჩემი ხნის კაცს რა იმედი უდა მქონდესო. მაშინ მოუყვანე მეცნიერთა კონგრესის აზრი, სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ—150 წელი როგორც საშვალო ხანა ადამიანის სიცოცხლის. გაიღმა, ამ გაღიმებაში სუვივოდა სასოწარკვეთილება და ცოტა მაინც იმედი. საუბედუროდ ის აღმოჩნდა მართალი! გარდაიცვალა 3 იანვარს.

1919 წელში რუმინიდან ჩამოვედი ქენევაში. იქ დამხვდა აკაკი, რომელიც როგორც ჩვენში იტყვიან—გაზურბულ მუშაობაში იყო სხვადასხვა საერთაშორისო სფეროებში—გავლენიანი პირების ნახვით საქართველოს საკითხით მათი დაინტერესებით. მისი საქმე იყო აგრეთვე საქართველოსათვის კომიტეტის შედგენა, რომლის წევრები იყვენ შვეიცარიის გამოჩენილი პროფესორები, პოლიტიკური მოღვაწენი, უზრუნალისტები და სხ...

1919 წლის ბოლოს პარიზში ჩამოვედი და საზაო კონფერენციაზე გამოგზავნილ საქართველოს დელეგაციაში დავიწყე მუშაობა. აკაკი ჩამოვიდა 1921 წლის დასაწყისში, გერმანიაში ერთი წლის მუშაობის შემდეგ. 27 იანვარს, ვერსალის მოკავშირეთა საზაო კონფერენციამ იცნო de iure-თ საქართველოს დამოუკიდებლობა. აკაკი დაინიშნა საქართველოს სრულუფლებიან ელჩათ უცხოეთში რეზიდენციით საფრანგეთში. აქედან მოკიდებული (1921—1933) აკაკის თავის დაუღალავი ენერგიით არ დაუტოვებია არც ერთი შესაძლებლობა საქართველოს ტრაგედიის გასაშუქებლად. მრავალ კონგრესებზე დასწრებით, კულისებში მუშაობით, ნოტების და შემორანდუმების გადაცემით.... ის იყო ნამდ-

ვილი ბრძენი როგორც საზოგადოებრივ ისე კერძო ცხოვრებაში: დაწვრიმალეობა, ინტრიგები მისი მოქმედებიდან გაძევებული იყო, რაც სათქმელი ჰქონდა პირდაპირ გეტყოდა, მაგრამ ისეთ ფორმაში, რომ დარცხვენილი თავს მოიხრდი, პირს უკან ლაპარაკი არ უყვარდა, არ ყოფილა შემთხვევა რომ რაც უნდა გამწყრალი ყოფილიყო ვინმეზე—მასზე ცუდი რამ ეთქვას ვინმესთან ან რომელიმე კრებაზე... კრებაზე, სადაც ყველა დაჯგუფებათა წარმომადგენლები იყვნენ, ყოველთვის თავს იკავებდა ხმის მიცემის დროს. ელჩი პარტიის გარეშეაო—უყვარდა თქმა.

ამიერიდან მისი ცხედარი თუ მიწას ეკუთვნის, მისი ცხოვრების შინაარსი ეკუთვნის მრავალ ტანჯულ ქართველი ერის ისტორიას, რომელსაც მან შეუქმნა ერთი საუკეთესო ფურცელთაგანი რომელიც როგორც ჩირაღდანი გაუნათებს გზას მრავალ მომავალ თაობებს...

ამ უკანასკნელ დროს ხნოვანებისა და დასუსტების გამო აკაკის სამოქმედო ასპარეზი შემოკლდა, მაგრამ მისი სიცოცხლე-მატარებელი ერის უზენაესობის, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის, გამხნევების ნაპერწკალს გვიღვივებდა გულში და მომავალს იმედით უცქეროდა.

აკაკის გარდაცვალებით მტერი ხარობს—ჩვენ დავობლით, ამ დაობლებას განსაკუთრებით განვიციდი, ვინაიდან თითქმის 40 წლის განმავლობაში მისი უშვალა თანამშრომელი ვიყავი. არ მინდა დავიჯერო რომ ის აღარ არის, მაგრამ მწარე სინამდვილეს ვერ გავეჩეცი. ერი არ დაივიწყებს არა მარტო აკაკის, არამედ მის მეუღლეს ქალბატონ მაკრინეს, რომლის დაულაღავმა მოვლამ და ზრუნვამ აკაკი მიიყვანა 85 წლამდე და თუ ამ უბრალო შემთხვევას ადგილი არ ჰქონოდა, ის დღესაც ჩვენ შორის იქნებოდა.

შვიდობით საყვარელო და ძვირფასო აკაკი!..

ხეხიატრე (კიჭიჯიკ) ახათიანი.

აკ. ჩხინკაელის დასაფლავება.

აკაკი გარდაიცვალა 3 იანვარს. სასწრაფოთ შესდგა თათბირი ყველა ქართული პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა წარმომადგენლების. თათბირმა დასაფლავების საერთო ხელმძღვანელობა მიიხდო ქართულ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ცინცაძეს.

გარდაცვალების მეორე დღესვე განსვენებულის ცხედარი საავადმყოფოდან ოჯახის, მეგობრების და პატივისმცემელთა თანხლებით გადასვენებულ იქნა ქართულ ეკლესიაში, სადაც პანაშვიდებს ესწრებოდა დიდძალი ინტერნაციონალური შემადგენლობის საზოგადოება.

შაბათს, 10 იანვარს, 14 საათზე, ქართული ეკლესიიდან ცხედარი წასვენებული იქნა სოფ. ლევილში, «ძმათა სასაფ-



ლაოზზე». კუბოს ამკობდა დიდძალი გვირგვინები ცოცხალი ყვავილებისაგან. სამარადისოთ დადუმებულმა აკაკიმ თავი მოუყარა ქართველი ემიგრაციის ყველა წრეს და პირებს. დასაფლავების პროცესიას მეთაურობდა და განაგებდა კ. სალია. მიუხედავად სუსხიანი დარისა—მინც დიდძალმა საზოგადოებამ მიაცილა აკაკის ნეშთი სასაფლაომდე—ლევილიში. აქ, მამა ილიას მიერ წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებმა, რომელსაც აქვე ვებუდავთ მცირე შემოკლებით.

ნოე გინცაძე (ეროვნული საბჭოს სახელით):

ქართველი... სადაც არ უნდა იყოს ის დღეს, ამ დღეს გლოვისა და მწუხარების: იყოს ის სამშობლო მიწა-წყალზე, მისი კულტურისა და ცივილიზაციის სადარაჯოზე, ცდილობდეს, მიუხედავად ტყვეობა-ოკუპაციის სუსხისა, თავისი წვლილის შეტანით გაამდიდროს ერის ძვირფასი საღარო: ან კიდევ, უხეში, უცხო ძალით მოწყვეტილი მშობლიურ კერას, იყოს შორეულ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე გადასროლილი; ან და—ჩვენსავით—თავისუფალ დასავლეთის არემარეში მრავლად გაფანტული,—ერთი სიტყვით, ყოველი ქართველი, ვინც ღირსებით და ღირსეულად ატარებს ამ სახელს და გრძნობს თავის თავს ცოცხალ უჯრედად ერთიანი, დროებით ტყვეთ-ქმნილი ერისა,—მოწიწებით თავს იხრის ამ ძვირფას ცხედრის წინაშე.

მკვდრებით აღმდგარი სუვერენული ქართველი ერი მიავლინებს აკ. ჩხეკელს, როგორც თავის სრულ-უფლებიან წარმომადგენელს და ეჩლს (და, როგორც ასეთი, ის ხომ ერთადერთი იყო!) დასავლეთის ცივილიზაციის ცენტრში, ის გახდება ცოცხალი. მუდამ მომქმედი სიმბოლო ერის სუვერენობისა კულტურულ მსოფლიოში და ამ ისტორიულ როლს ის დიდი ღირსებითაც ასრულებს.

ბედმა არგუნა მას და ერმა ნდობით აღჭურვა და დააკისრა მძიმე და მასთან საამო მისისიაც: საერთაშორისო ოჯახში განაწამები ერის სახელით მისი ტკივილები კაცობრიობის წინაშე გადაეშალა!—«ბედმა არგუნა»—მეთქი. მაგრამ ეს ბედი გარედან არ მოსულა; ის აკაკის სასო-არსებაში იყო ჩანერგილი და მობინადრე. რა იყო ეს არსება, რა ამოძრავებდა და ასულდგმულებდა აკაკის მოუხვენარ ბუნებას?—ეს იყო იდეა ერისა და მისი თავისუფლება-განთავისუფლებისა. მასთან შეხვედრისა და ბაასის დროს თქვენ გრძნობდით, რომ ის მუდამ-ქამს ამ იდეით იწვოდა... ერი მისთვის ისტორიულ კატეგორიასაც არ წარმოადგენდა, არამედ ამ ქვეყნიური ემანაცია, ხორც-შესხმა იყო უკვდავი იდეისა. არც დასაწყისი და არც დასასრული—მის წარმოდგენაში,—როგორც სოციალისტს, მას სწამდა, რომ ევოლიუცია, მიმართული სოციალურ სამართლიანობის დასამყარებლათ, მიმართული ადამიანის ემან-

სიპაცისა და თავისუფლებისაკენ,—ხალხის ცხოვრებაში ეროვნული კარებით, გზებით თუ ბილიკებით შემოდის და მკვიდრდება.

აკაკის ცხოვრება: ეს ხომ ორგანიულათ ჩაქსოვილია, უკანასკნელი ნახევარ საუკუნის გასწვრივ—განსაკუთრებით, ჩვენი ერის მატრიანეში. განვლილი ეტაპები და მნიშვნელოვანი ეპიზოდები—მრავალი.

ჯერ ყურნალისტი, ის იმ თავითვე ერთ და იმავე კონცეპციას და აღებულ ცხოვრების გზას ერთგულათ მიჰყვება და ემსახურება შემდეგში, იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნლიდან გაისმის მისი მქუხარე ხმა უფლება აყრილ ერთა და ადამიანის თავისუფლებისათვის. იპყრობს საერთო ყურადღებას და რეზონანსიც დიდია გარემოში.—ამ ხანას ეკუთვნის ერთი მნიშვნელოვანი—ისტორიული ეპიზოდი: პირველი ომის დროს მეფის მთავრობა ამზადებს პროცესს ჩვენი მოძმე ჯაშარლების «ლალატის». აკაკი ლომივით გადაიჭრება ბრძოლაში და ამ დრამატიულ გაჭირებას მოყვება ბოროტი განზრახვის შეჩერება. მით დაიმსახურებს ერის მადლობას, სიმპატიას და სიყვარულსა.

ამ ომს მოჰყვება, როგორც ვიცით, რევოლიუცია და, შემდეგში, იმპერიის რღვევა იწყება. აკაკის ვხედავთ კავკასიის პოზიციებზე და ამ ხანებში ყველაზე სიმბოლიურათ მისთვის უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, როცა აკაკი გახდება დამოუკიდებელ კავკასიის პირველი მთავრობის პირველი თავმჯდომარე.—იდეია თავისუფალი კავკასიისა,—ეს ხომ აკაკის მეორე სანუკვარი ზრახვა და მისწრაფება იყო. ორ ზღვას შუა მოქცეული, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედით გამიჯნული,—ეს ხომ, მისი წარმოდგენით, გარანტია და უზრუნველყოფაც შეიძლება გამხდარიყო ჩვენი საკუთარი თავისუფლებისათვის.

მე აქ განზრახვა არა მაქვს და არც ძალ-მიძს აკაკის მდიდარ და შინაარსიან ბიოგრაფიაზე შევჩერდე. მხოლოდ ერთს კი ვიტყვი: როცა ისტორიკოსი მოხსენებულ ეპოქის შესწავლის შემდეგ, დააპირებს აკაკის ცხოვრებას ბილანი გაუკეთოს,—უნებლიეთ ის იგრძნობს მოთხოვნილებას მოქანდაკეთ გადაიქცეს: მის წინაშე წარმოსდგება თავისებური ცოცხალი ქანდაკება ადამიანისა. დატვირვული ერთი იდეით, ერის უფლებებისა «თავის თავს ეკუთვნოდეს, იყოს თავისუფალი!»

ზემო-თქმულიდან ნათელი უნდა იყოს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო როლი აკაკისა ჩვენს შინა—ოჯახურ—ფორენტზე: როგორც იქ—სამშობლოში, ისე, განსაკუთრებით, აქ—ლტოლვილობაში—აკაკი გვევლინება, როგორც ნამდვილი მოციქული ერთობისა... და აი, ეხლა მან რომ შემოგვხედოს,—ხომ დარწმუნდებოდა, თუ როგორ «სპონტანურათ» განხორციელდა ეს მისთვის ძვირფასი ნატურა-სურვილი: ქართული ერთობა! ეს უნდა გახდეს თავმდები ჩვენი საიმედო მომავლისა...

ლევან ზურაბიშვილი (ქართული ეროვნული ცენტრის სახელით. ფრანგულად):

ამ ძვირფას ქართულ საფლავთა შორის, დღეიდან განისვენებს დაუფიწყარი ჩვენი უფროსი მეგობარი აკაკი ჩხენკელი, რომელიც მრავალ წელთა მანძილზე, საფრანგეთის მთავრობის კარზე, წარმოადგენდა დამოუკიდებელ საქართველოს, და მით კაცობრიობის წინაშე მოწმობდა რომ რუსულ ოკუპაციამ ვერ ახადა საქართველოს მისი «საერთაშორისო უფლებების პიროვნების» ხარისხი...

ამ მნიშვნელოვან, და მეტად პასუხისმგებელ, ისტორიულ თანამდებობაში აკაკი ჩხენკელი გამოიმუშავდა როგორც სავსებით ღირსი იმ მაღალ, და ძნელ დავალებებისა რომლითაც ის აღჭურვა დამოუკიდებელ საქართველომ. მას წილად ხვდა უპირველეს ყოვლისა გარღვევა იმ «გულმავიწყობის ზღუდისა» რომელშიაც ჩაამწყვდია ასი წლის რუსეთის ბატონობამ საქართველოს ძველი სახელმწიფო, და თვით ქართული საკითხიც. საღვკენდო ფალავანივით ჩაება აკაკი ამ დიპლომატიურ ბრძოლაში. შეებრძოლა დროის თუ გარემოებათა უკულმართობას, შემთხვევით სიძნელეებს, აშკარა მტრებს; თავდავიწყებით იღწოდა რომ გამოენახა ჩვენი საკითხისათვის ახალი მოკავშირეები, და გამარჯვების გზა. ფასდაუდებელია მისი ნაშრომი: მემორანდუმები, მიმართვები, საგაზეთო თუ საინფორმაციო წერილები—ყველაფერში აკაკიმ ჩააქსოვა თავისი ცოდნა, უნარიანობა და გულის ხმა. ამ ბრძოლის ხანგრძლივობის მიუხედავად, აკაკი დარჩა, უკანასკნელ მაჯისცემამდე, გაუტეხელ იმედით და მუდმივი ენერგიით აღსავსე. უდავოა რომ დიდი წილი ამ სიმტკიცისა უნდა მიეწეროს იმ ღრმად კეთილშობილ შეგნებას რომელიც ჰქონდა აკაკის თავის თანამდებობისა და მოვალეობის.

და აი დღეს, აქ, თავი მოვიყარეთ ქართველებმა, და უცხოელებმაც, რომ უკანასკნელად გამოვემშვიდობოთ—მთელის ჩვენი გრძნობით და პატივისცემით—აკაკის. ვიცით რომ, ამ წამს ფიქრით ჩვენ გვიერთდებიან უცხოეთში განფანტული ქართველები, სხვა კავკასიელები, ფრანგები და უცხოელები... დღეს თუ ხვალ სამწუხარო ამბავი მისწვდება ქართველ ხალხს, და შორიდან მოიბრუნს სულიერი სიო რომ უთხრას ამ საფლავს რომ წამებული საქართველო არ დაივიწყებს თავის ერთგულ მსახურს...

არ დაივიწყებს ... ვინაიდან სწორეთ ეს თვისება წყალობად აკუთვნა ღმერთმა ქართველ ხალხს : წარსულის ცოდნიდან ღებულობს ის იმ უძლეველ იმედს რომლის წყალობით «დამარცხებაშიც, გამარჯვების რწმენა იქედება»...

ქართველები დაიმახსოვრებენ, და სათანადოთ დააფასებენ დიდ მამულიშვილის, და სახელმწიფო მოღვაწის—აკაკი ჩხენკელის—ცხოვრებას მთლიანად გატარებულს ქართველ ერის სამსახურში, და მიძღვნილს მის ინტერესებისადმი....

დაფიქრდებიან იმაზე თუ რატომ ახალგაზრდობაში უკვე ის განდა დევნის საგანი, და თუ რატომ ორ ჯერ მოუხდა ცხოვრებაში, რუსეთის გამოისობით, უცხოეთში გარდახვეწა...

საბედნიეროდ აკაკისთვის, მის ცხოვრებას ახალი სტადია და ამგვარად უძვირფასესი აღზნები. ის, ერთ მხრივ, ინთებოდა მებრძოლის აღზნით—ყოველთვის როდესაც, დუმაში თუ სხვაგან. გამოდიოდა დამცველად უფლებისა და თავისუფლების. ამით იცავდა ის ყოველივე ფორმის სახით—სოციალურით, სახელმწიფოებრივით, ეროვნულით თუ სარწმუნოებრივით ... დიახ ესეც დასაფასებელია ვინაიდან იმ ეპოქაში ბევრი მისი თანამოაზრენი ჯერ-კიდევ აუცილებლად სთვლიდნენ დაპირისპილებას სოციალიზმისა და სარწმუნოების...

ეს ნამდვილი შემწყნარებლობა, ადამიანის სიყვარულით ნაკარნახევი, ხომ დამახასიათებელია სახელოვან სახელმწიფო მოღვაწეთა...

მეორე მხრივ, მებრძოლის აღზნებაზე იქნებ უფრო მძლავრად, აკაკი განიცდიდა მამულიშვილურ შემოქმედების აღზნას. და მრავალ ჯერაც ეღირსა ასეთი მძლავრი მომენტების გეგმა ხელმძღვანელის როლში. გავიხსენოთ ტფილისის უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა— ივანე ჯავახიშვილი და აკაკი უსიტყვოდ უარეს აღელვების წუთში, ხელის ჩამორთმევით ერთმანეთს ულოცავენ დიად მოვლენას... გავიხსენოთ 26 მაისი 1918 წ... ნაშუადღევის 17 საათი... საქართველო აცხადებს თავის თავს დამოუკიდებლად! ესეც აკაკის ოცნების აღსრულებაა—მისივე უშუალო მონაწილეობით.— გავიხსენოთ, დაბოლოს, დღე როდესაც აკაკიმ წარუდგინა პრეზიდენტ მილიერანს. ელისეს სასახლეში, საქართველოს რესპუბლიკის მინდობილობის სიგელი ... ისტორიული მომენტი—ისტორიული დავალების შესრულება! ჩემთვის უდავოა რომ აკაკი ჩხენკელის სახელი ჩაიწერება ჩვენს ეროვნულ ისტორიაში უმთავრესად : საქართველოს ელჩის საფრანგეთში, ხარისხით...

ასე მქლავნდებოდა ხომ, ქართულ ისტორიის განუწყვეტლობა, და სრულდებოდა საქართველოს დაბრუნება ცივილიზაციით აღჭურვილ. თავისუფალ სახელმწიფოთა რიგში.

როგორც თითონ აკაკის უყვარდა ამის ღიმილით აღნიშვნა—მისი წინამორბედი ასეთ ისტორიულ ელჩობაში იყო თვით საბა სულხან ორბელიანი. ლიუდოვიკ მე 14-ეს კარზე... ისიც ხომ თავის დროზე სცდილობდა აქ საფრანგეთში, უზრუნველყო საქართველოს დამოუკიდებლობა და მომავალი..

ცხადია ამ რამოდენიმე სიტყვით ვერ ამოვწურავთ აკაკი ჩხენკელის ღვაწლის მრავალფეროვნობას—პოლიტიკურ, სამოქალაქო თუ მწერლობით ეროვნულ სფეროებში; ვიტყვით მხოლოდ რომ სასურველია და საჭიროა, ახალ თაობამ ღრმად შეიგნოს ამ მდიდარ ბუნების ადამიანის, მამოძრავე-

ბელ ქალის და მისწრაფებათა მნიშვნელობა, მისი მოქმედების შეუწყვეტელობა, მისი იდეალის მარადისობა.

მათს ღრმა მწუხარებაში: ნუგეშად მოველინოს აკაკის ძვირფას მეუღლეს, ქალბატონ მაკრინეს, მის ძმას, შვილს, და ოჯახს—ის ფიქრი რომ აკაკის ბრძოლის გზა იყო გზა სინათლისა, რომელიც თავის დროზე გახსნა თვით დიდმა ილია ჭავჭავაძემ, და რომლის დახშვა დღეს აღარავის ძალ უძს... ღრმა მწუხარებით ვემშვიდობებით აკაკის. ვიცით და გვეხსოვება რომ მისი მაგალითი გვიკარნახებს სიმტკიცეს, და იმ იმედს, რომელიც, ჩვენმა საერთო მეგობარმა ლუი-მარენმა შემდეგ სიტყვებით გამოხატა:

«რა, ხართ ერთგულნი თქვენი იდეალისა—გამარჯვება თვითონ გეახლებათ»... «თავისუფლება ჩნდება უეცრად. წლებში ან დღეებში რომელთა გაზაფხული ან განთიადი იყენენ უიმედონი—თავისუფლება ჩნდებოდა—ვიდრე შემოდგომა. ან ღამე, მობრუნდებოდა; სჩნდებოდა როგორც ელვა, როგორც ზეცის საჩუქარი—მაშინ როდესაც მას არ ელოდენ—დღეს უბედურებაში მყოფი, მაგრამ მარადი საქართველო—გასძლებს, და კვლავ აყვავდება გაზაფხული მისი ბედნიერების».

საუკუნოდ იყოს ხსოვნა ამ იმედის მატარებლის, საქართველოს დიდ შვილის, აკაკი ჩხენკელისა.

ილემ ჯინქია (სოც.-რევ. პარტიის სახელით):

ქალბატონებო და ბატონებო,

დავკარგეთ დიდი ქართველი აკაკი, მოგვესპო მისი მომხიბლავი შეხვედრები! ჩაგრულ პატარა ერებს კი აღარ ყავთ მათი მხურვალე დამცველი აკაკი, როგორც ის იყო რუსეთის სახელმწიფო დუმაში.

ჩვენთვის კი შავი მომენტების დროს აკაკი იყო ცოცხალი გამომხატველი ძმობა-ერთობისა ჩვენ ემიგრანტთა შორის. მას არასოდეს არ შეუწყვეტია მუშაობა ემიგრაციაში თავის ქვეყნის სულიერ-კულტურულ საკეთილდღეოდ, საქართველოს ბრწყინვალეებისათვის.

ეურნალ «დამოუკიდებელი საქართველო»-ს სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე ის იყო.

აკაკი იყო გმირული მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის; და ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლათ თბილისში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ქართველი ერისათვის აკაკი იყო ღირსეული წარმომადგენელი ქვეყნის წინაშე უცხოეთში და მისი სუვერენული უფლების აღდგენისათვის დაუღალავი მებრძოლი.

მოუსვენარი და დაუდგომელი იყო ეს შენი სამსახური დიდო ქართველო!!

შენ თვალები დახუჭე სამუდამოდ შორს შენი სამშობლოსა, რომელსაც შესწირე მთელი შენი ენერჯია.

ჩვენ ვგლოვობთ აკაკის, პატრივს ვცემთ მის სახელს, მისი შენაცვლება ამ მხრით ძნელი იქნება.

ხელით შექმნილი ძველი იკარგება, შენ მიერ კი ბუნებრივად შექმნილი სულიერი მოღვაწეობა სამშობლოს საყვთილდღეოთ ქართულთა შორის ცოცხლათ დარჩება—მას ისტორია დააფასებს.

პირადათ მე ვწუხვარ, რომ დავკარგე ჩემი დიდი მეგობარი.

გლ. პატარიძე (სათვისტომოს გამგეობის სახელით):

1500 წელი შეუსრულდა საქართველოს სახელმწიფოს სატახტო დედა-ქალაქს მოხუცს თბილისს. ამავე დროს 150 წელი შესრულდა, მას შემდეგ რაც მიწას მიაბარეს ძველი საქართველოს პირველი დიდი ამბასადორი საბა-სულხან-ორბელიანი, რომისა და ვერსალის სასახლის კარზედ მივლინებული. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 40 წლის თავიც ამ ისტორიულ თარიღებს შეხვდა ღვთისავე განგებით.

აღბად. ღვთისავე განგებით ვდგევარ ორ ახალ ცხედართა შორის, რომელთაგან აკაკი ჩხენკელს. მოვლენათა გამო არ შემდგარი 40 წლის თავის ეროვნული დღესასწაული, მისი საპატიო თავმჯდომარეობით, უნდა გაეხსნა და მეორეს—კონსტანტინე კანდელაკს, აღბად. უკანასკნელი სიტყვა უნდა ეთქვა ქართველი ხალხისათვის, რომლის სამსახურშიაც სული დაჰლია.

საბა-სულხან-ორბელიანის გარდაცვალებიდან სრულ 150 წლის თავზე, საფრანგეთის მიწას ვაბარებთ საქართველოს მეორე ამბასადორს აკაკი ჩხენკელს, რომელიც თხუთმეტი წელიწადი ოფიციალურათ და ამდენივე წლები ფაქტიურათ ღირსეულად წარმოადგენდა ქართველ ერს და იცავდა მტრის მიერ გათელილ მის ისტორიულ უფლებებს. მას საფრანგეთის მიწას ვაბარებთ, როგორც უკუნიით უკუნიასამდე მივლენილ ელჩს. ეს საფლავი, დაე! სიმბოლოდ გახდეს საფრანგეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობისა. ამ საფლავზედ მოვა უთუოდ აღდგენილი, თავისუფალი საქართველოს მესამე ამბასადორი. მუხლს მოიყრის მისი დიდი წინაპრის წინაშე და რჩევა-დარიგებას გამოსთხოვს.

* აკაკი ჩხენკელი ერთ-ერთი ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენელია იმ ძველ დიდ თაობათა, რომელნიც რუსეთისაგან დაპყრობილი საქართველოს, ათეული წლების გასწვრივ აჯანყებულთა სისხლით განბანილი ქვეყნის დათახულ კალთაზე დაიბადნენ...

აკაკი ჩხენკელი ეკუთვნოდა იმ დიდ თაობათა იმ ნაწილს, რომელმაც მიზნად დაისახა «ეროვნებათა სატუსალო» დ მიჩნეულ რუსეთის მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ წრეში მას ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა. მისი მოქმედება, მისი ბოძოლა ყოველთვის ქართული ნიშნის ქვეშ მიმ-

დინარეობდა. მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა, დღით მზის სხივებ ქვეშ, ღამით მთუარის შუქის ქვეშ სწარმოებდა, გაბედული და უკომპრომისო. არცერთ მომენტში მისი მოღვაწეობის ასპარეზის მცირე ფართობიც კი არ დაუჩრდილავს ავზნიანსა და შავს ღრუბელს. ის ფეხდაფეხ მისდევდა ქართულ სამფერ დროშას, იმედიანი ბრძოლის ყიყინით. მან დიდი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმიანობაში. ის უმწიკვლოთ ემსახურა მის ქვეყანასა და ერს და დაიმსახურა ეს სამფერი დროშა, რომელიც ამდენადვე შვენის მის ცხედარს, ამ პირლია საფლავის წინ რომ ასვენია.

ა. ჩხენკელი მისი ბუნებითა და შეგნებით ეროვნული მთლიანობისა და ერთობის კაცი იყო; მისი საქირიების უღრმესი შეგნებით. ერის სამსახურში მყოფმა იცოდა და შეეძლო ზეპარტიულობა. მისი ცხედრის ირგვლივ დღეს შემოკრებილია ქართული ემიგრაციის ყველა ფენები. ყოველი ქვეყნიდან, ერთნაირად მწუხრს მისცემიან. ეს არის მთავარი ხერხემალი ქართველთა ერთობისა და საწინდარიც მომავალი გამარჯვების.

ღრუბლებით დაფარულ, მტირალ და სუსხიან, ამ მწუხრის საღამოს ეამს, მისთვის გათხრილი საფლავის წინ საქართველოს ელჩი და ქართველთა სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე უკანასკნელათ ემშვიდობება და უკუნითი უკუნი-სამდე ეთხოვება მის თანამემამულეთ. მისი გაცივებული ცხედარი განსვენებას კპოებს მშობლიურის მემცვლელ უცხო საფლავში. მისი მებრძოლი დაუცხრომელი და უკვდავი სული კი გაფრინდება სამშობლოსაკენ, შეუერთდება დიდ ქართველ სულთა ოჯახს, სამშობლოს რომ ცის სიღრმიდან თავს დასტრიალებს და ანათებს.

საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომო ეთხოვება მის საპატიო თავმჯდომარეს აკაკი ჩხენკელს. აქ განსვენებულ მამულისშვილთა სულებთან ერთად სთხოვს გადასცეს ჩვენს სამშობლოს ჩვენი ურყევი რწმენა და იმედი მისი თავისუფლების აღდგენისა და უკეთესი მომავლისადმი, მისი დიდებისა და მარადისობის.

ა. ხარჯველაძე (საქ. სოც.-დემ. პარტიის საზ-ელ ბიუროს, საქ. სოც.-დემ. პარ. საზ-ელ ბიუროს და ქართ. მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის სახელით):

უცხოეთის ცივმა მიწამ მიიბარა დიდი ქართველი. გატაცებით მოყვარული თავის ერის, თავის მიწა-წყლის; საქართველოს ეროვნული მოამაგე. სიყრმიდან,—მისი უფლებისთვის შედგარი დამცველი, ცხოვრების სავალ გზაზე, მის ყოველდღიურ მოქმედებას, მის შეუწყვეტელ ენერჯის მოძრაობას, წინ სამშობლოს სიყვარულის დროშა, რომ მიუძღოდა. საქართველოს თავისუფლების იდეით, მისი სვე-ბედით შეპყრობილი იყო მთელი მისი არსება, მთელი ფიქრი, აზრი მოქმედება. მისთვის არ არსებობდა სხვა საზრუნავი გარდა სამშო-

ბლოს ბედნიერებისა. პატიოსანი და წრფელი სამოღვაწეო ასპარეზზე, შეუდრეკი ბრძოლაში, სათნო და სასიყვარულო კერძო ცხოვრებაში. ის იყო დაუშრეტელი წყარო ენერჯის, და ნებისყოფის, რომლის სიტყვა რაინდული ძველი რუსეთის ტრიბუნიდან თავზარს სცემდა ჩვენი ქვეყნის მტრებს, ამზადებდა ნიადაგს ჩაგრულ ერთა თავისუფლებისთვის.

მან იხილა ბრძოლის ნაყოფი ქართველი ერის საუკუნეთა სურვილის განხორციელება, საქართველო სუვერენული, განახლებული, დემოკრატიული იდეების სინამდვილეში გადამტანის, საკუთარ თავის მომვლელი. აკაკი ჩადგა მოპოვებულ უფლებების დამცველთა მოწინავე რიგებში, დაუმტკიცა მტრს და მოყვარეს ქართველი ერის სახელმწიფოებრივი სიმტკიცე და ურყევი სურვილი თავისუფლების შენარჩუნების... ამ მხრივ მისი სახელი მკიდროთ დაკავშირებულია ნახევარსაუკუნის მანძილზე, რუსეთ-კავკასიის და საქართველოში მომხდარ უდიდეს ისტორიულ მოვლენებთან, რომელიც მას მიანიჭებს ერთ დიდ ხელმძღვანელის როლს...

როცა საქართველოს ციური თალი შავი ნისლით დაიბურა, როცა უცხო ძალამ ფიზიკურად მოსტება—ერი თავისუფლებას მოყვარული, აკაკიმ ქვეყნიერებას ამცნო ერის გლოვა და მწუხარება. ამავე დროს ჩამოჰკრა ზარი შეუწყვეტელ ბრძოლის, სადაც კვლავინდებურად გამოჩნდა მისი სიმტკიცე და მხნეობა.

მას სწამდა ქართველი ერის გამძლეობა, შეურიგებლობა, მას სწამდა, რომ ერის ბრძოლის ისტორია—გაუტყენელი კლდეა, რომელსაც ასკდება ბოროტი მტრის ვერაობა, მას სწამდა, რომ ხალხის სული დაუშრეტელია, მის გულში მუდამ ღვივის ცეცხლი ეროვნული თავისუფლების ..

აკაკი ჩხენკელი მუდამ ხელმძღვანელობდა ნოე ყორძანიას ცნობილი ლოზუნგით, რომ არცერთი ნაციონალური საქმე არ გაკეთებულა ცალ-ცალკე დგომით, ცალკე მოქმედებით, ეს წამყვანი ხაზი მას გადაჰქონდა პრაქტიკულ საქმიანობაში, რისთვისაც კეთილშობილურ პატრიოტულ გრძობებით აღზნებულს შეჰქონდა ყველა წრეებში ხალხური ოპტიმიზმი, გაუტყენელობა, აღფრთოვანება; იმედიანი და დაუღალავი სხვებსაც ენერჯიას მატებდა. ბრძოლის წყურვილს უასკეცებდა, ახალგაზრდას რწმენას აძლევდა, დაეუვებულს იმედს უმაგრებდა, საერთო საქმის საკეთებლათ ხალხის სხივებს აფრქვევდა...

შეურყეველი იყო რწმენა მისი,—ეროვნულ ძალთა შეკავშირებისთვის, საერთო ბრძოლის ფრონტის გაქედისთვის, ამიტომაც ის არასოდეს ვარდებოდა პოლიტიკურ-პრაქტიკულ ენებათა ღელვის პროცესში. შეურყეველ მებრძოლს გარეთ,—შეჰქონდა შინაურობაში მორიგება-მოთმინება, ურთიერთის ატანა...

აკაკის ვერ დაივიწყებს რუსეთის უღლის ქვეშ მყოფი ერები, რომელთა ინტერესების დამცველი ის იყო სახალხო

დღემაში, რომლის ერთი მეთაურთაგანი ის გახდა უცხოეთში, უმთავრესად კავკასიის ერთა წარმომადგენლებთან მჭიდრო და განუწყვეტელ კავშირში და მათთან ერთად მოღვაწეობით, —ის აღვივებდა მეზობელ ერებთან მეგობრულ ურთიერთობას, რადგან ღრმად ქონდა გათვალისწინებული, რომ ისინი ცალ-ცალკე ვერც თავისუფლებას მოიპოებენ და ვერც მას შეინარჩუნებენ.

აკაკისთვის არ არსებობდა პირადი ცხოვრების სიტკბოება, არამედ ერთი სიამოვნება, —სამსახური საკუთარ ქვეყნის. განა ბევრი მოწამენი არ ვიყავით უკანასკნელ დღეებში, როცა სიარული უჭირდა, —მისი გული მაინც საერთო საქმისკენ ილტვოდა, მისი განება საერთო საქმის მდგომარეობით იყო შებოჰვილი, —თუ ახლო მეგობრები მის ჯამთელობას უფრთხილდებოდნენ, მას ხშირად არ იწვევდნენ, ის მრისხანეთ უტევდა ყველას, თუ რატომ ის არ ღებულობს მონაწილეობას საერთო საქმეში, —რადგან აკაკიმ არ იცოდა გაუცივრებაში სასოწარკვეთილება, მას აწუხებდა არა საკუთარი ტკივილი, არამედ ტკივილი და გაუცივრება ქართული საქმის...

აკაკის სული იქ შეუერთდება საქართველოს საამაყო შვილის, თავისუფალ საქართველოს პირველ პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას და დამოუკიდებლობის სახელოვან მედროშის ნოე რამიშვილის სულს, ის იხილავს მის გვერდით ჩვენ სახელოვან მინისტრებს ევ. გეგეჭკორს, კ. კანდელაკს, მრავალ სახელოვან თავდადებულ ეროვნულ მოღვაწეებს, —ერის დიდ მედროშეთ, —გადასცემს მათ ჩვენს დაობლებას, ჩვენს მწუხარებას, მაგრამ ჩვენ მტკიცე გადაწყვეტილებასაც, რომ იმ დროშას, რომელსაც აკაკი სასოებით ინახავდა თავის ოთახში და მის სახეზე უკანასკნელად გადაეფარა, დროშას —რომლის გაშლას ის ოცნებობდა რუსთაველის გამზირზე, რომლის ატანას ის ნატრობდა მთაწმინდის გორაკზე, დარჩენილი ამ დროშას არ შეარცხვენენ და მის თავისუფლებისთვის იბრძოლებენ...

აკაკი ჩხენკელის დაკარგვას დღეს გლოვობს უცხოეთში გაფანტული მთელი ქართველობა, მის ერთგულ განუყრელ, მისთვის თავდადებულ მეუღლე ქალბატონ მაკრინესთან, მის მოსიყვარულე ძმა კიტასთან ერთად —რომლის მეცნიერულ შრომას ის შეჰხაროდა და მისით ამყობდა...

ხმა-მისი ამ ქვეყნიდან განშორების უსათუოდ მიწვდება საქართველოს კუთხეებს და განსაკუთრებით აჭარა-აფხაზეთს, სადაც მწარედ დაიტირებენ და იტყვიან, რომ მათ არა ყავთ მათი ერთგული დამცველი...

ადრე თუ გვიან, დრო უსათუოდ მოვა, დაიქნებებს სიონის ტაძრის ზარები, მას აპყვება საყვირი თავისუფლების, შეუერთდება ხმა დიდების და საერთო გუგუნზე —საქართველოს რჩეულ ვაჟ-კაცთა მხრები შეასვენებენ საქართველოს სახელოვან ელჩს. ყვავილებით და სამფეროვანი დროშებით მორთულ პანთეონში...

დ. კლდიაშვილი (თეთრი გიორგის სახელით):

მკირდება, იღვევა ჩვენი უფროსი თაობის რიგები!..

აკაკი ჩხენკელის სახით დღეს მიწას ვაბარებთ ერთ ერთ დაუცხრომელ და შეუპოვარ მებრძოლს საქართველოს დამოუკიდებლობისა, დაუმდობელ მტერს ჯერ მეფის და შემდეგ წითელი რუსეთისა. აკაკი ჩხენკელი ეკუთვნოდა ქართველთა იმ ძლიერ და ბრწყინვალე თაობას, რომელმაც მიზნათ დაიხსა მეფის რუსეთის დამხობა და კიდევ განახორციელა ის. დაეცა მეფის რუსეთი!.. აღსდგა საქართველო!.. ბედნიერია ის თაობა, რომელმაც შესძლო ამ დიდი ისტორიული მისიის განხორციელება. ამით აკაკი ჩხენკელმა და საერთოდ მისმა თაობამ მოიხადა ვალი თავის ქვეყნის წინაშე. დღესაც, როგორც წარსულში ჩვენი ბრძოლის ისარი მოსკოვის დამხობისაკენ არის მიმართული და ბედნიერი იქნება ის მომავალი თაობა, რომელიც მოესწრება საქართველოს სულთანხუთავი რუსეთის ტყვეობისაგან განთავისუფლებას.

აკაკი ჩხენკელი იყო პირველყოვლისა ქართველი, ქართული მიწის პირმშო შვილი. მისი აზროვნება, ფიქრი, ყოველდღიური მოქმედება ქვეყნის მწარე ბედს დასტრიალებდა. ეს იყო მისი *raison d'être*-ი—უკანასკნელ წლებში მისი დარდი იყო, რომ მოხუცებულობის გამო აღარ შეეძლო ძველებური მხნეობით ხელმძღვანელობა გაეწია ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობისათვის.

თეთრი გიორგის ორგანიზაციასთან დამოკიდებულებაში აკაკი ჩხენკელმა ბოლომდე შესძლო კეთილმეზობლური განწყობილების შენახვა. ის იყო საპატიო და სასიამოვნო სტუმარი ჩვენი ორგანიზაციის მიერ მოწყობილ მოხსენებების და საღამოების. სარგებლობდა ჩვენს წრეში განსაკუთრებული პატივისცემით. მისთვის უცხო იყო პარტიული ფანატიზმი, პარტიული იდეოლოგიით დაბრმავება, პარტიული კარჩაკეტილობა; ამიტომაც ის დარჩა სასიამოვნო პიროვნება არა მარტო თავის თანამებრძოლთათვის, არამედ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთათვისაც. განსვენებული მუდამ სცდილობდა დაემყარებია პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის სასურველი ატმოსფერო:—კეთილ განწყობილების, ნდობის და ურთიერთ გაგების. ასეთ თვისებას კი უპიროველესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სინამდვილეში, სადაც ხშირად, პოლიტიკური ჰავა იწამლება, შური და მტრობა. სიძულვილი და უნდობლობა ეუფლება ჩვენს აზრსა და გრძნობას. მტრის მიმართ განსვენებული იყო შეუპოვარი.

ჩემს მეხსიერებაში წარუშლელად აღიბეჭდა ერთი შემთხვევა. 1918 წელს თბილისში, ეროვნული ყრილობის გახსნის დღეს ორმა მოწაფემ მოვახერხეთ ოპერაში ქანდარაზედ გასვლა. თეატრი გაუყვდილი იყო დელეგატებით და დამსწრე საზოგადოებით. დამსწრეთა შორის კარგი დიდი ნაწილი იყო რუსების. ყრილობას თავმჯდომარეობდა სწორედ აკაკი ჩხენ-

ნკელი და როგორც კი სიტყვა მისცა ნოე ჟორდანიას დეკლარაციის გასაკეთებლად საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის შესახებ, ადგილიდან რუსებმა ასტეხეს განგაში, მოინდომეს პროტესტის განცხადება, განზრახვით ჩაეშალათ ყრილობა. თავმჯდომარე, აკაკი ჩხენკელი სწრაფ წამოიჭრა ფეხზედ ვით შმაგი ლომი და ისეთი ძლიერი ხმით დაჰყვა, ისეთი გააფთრებით შეუტია პროტესტანტებს, რომ მთელს დარბაზში უმალ სრული სიწყნარე დამყარდა, რომელიც ბოლომდე არ დარღვეულა.

ქართული, ეროვნული თავმოყვარეობა მისი განუყრელი თვისება იყო. უკანასკნელი ომის დასრულების პირველ წელში ფრანგ «რეზისტანს»-ებს საუბარში მოხდენილად უპასუხა: «ჩვენ ქართველი ემიგრანტები 20 წლის «რეზისტანს»-ები ვართ და კარგათ ვიცით ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ სამშობლოს განთავისუფლებისათვისო. დიახ, აკაკი ჩხენკელი და მასთან ერთად ჩვენ ყველანი ორმოცი წლის «რეზისტანს» ები ვართ უბედო მემკვიდრეობით გადაჯაჭვული იმ ზღვა ქართველებთან, რომლებიც უკანასკნელ სკუკუბოების ჩვენი ქვეყნის ბედის უკუღმა ტრიალმა გადასტყორცნა ირანს, ოსმალეთს, რუსეთს და სხვა ქვეყნებში. იქ ტანჯვა-წამებაში დალიეს სული და იქვე გაეთხარათ სამარე. ჩვენ სანუგეშოთ და საამაყოთ მაინც დაგვეჩა ის, რომ გავიზიარეთ მწარე ბედი მრავალ გარდახვეწილობაში დაღუპულ ქართველ ლეგიონების და თავისუფალ საფრანგეთში—ლევინის ქართველთა სასაფლაო—უნილაგი, განუწყვეტელი ჯაჭვით გადაება უცხო ქვეყნებში გაფანტულ ქართველთა საფლავებს.

დასასრულ, ჩვენს უღრმეს პატივისცემას და გულითად თანაგრძნობას მოვახსენებთ ქალბატონ მაკრინეს, რომელმაც ნამდვილი მეუღლეობა, ამ სიტყვის ღრმა ქართული მნიშვნელობით, გაუწია განსვენებულს. თავის ზრუნვით და თავდადებული მეგობრობით შეუმსუბუქა მას ემიგრანტული დუხჭირი ცხოვრება.

სამგლოვიარო ღვაწიები და წერილები

მიღებული აკ. ჩხენკელის მეუღლის ქ-ნ მაკრინეს ხასკელსე

ჰორ. სერჟანტი (ამერიკ. კომიტეტის თავმჯდომარე)— მიიღეთ ჩემი უღრმესი თანაგრძნობა თქვენი ქმრის გარდაცვალების გამო. ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ და საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლ აკაკი ჩხენკელის ხსოვნა დაუფიწყარი იქნება სამუდამოთ.

საბჭოთა რუსეთისგან დაპყრობილ ერთა განმათავისუფლებელი ლიგა: უდიდესი მწუხარებით გავიგეთ საქართველოს ელჩის აკაკი ჩხენკელის გარდაცვალება. ის იყო ჩვენი ორგანიზაციის საუკეთესო მეგობარი და თავის შეუწყვეტელი მო-

ღვაწეობით მუდამ ცდილობდა დაჩაგრულ ერთა შეკავშირებას, რომლითაც მან დაიმსახურა ჩვენი ღრმა პატივისცემა.

კელლი (ამერიკული კომიტეტის წარმომადგენელი ევროპაში)—მიიღეთ ჩემი უღრმესი თანაგრძობა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ აკ. ჩხენკელის გარდაცვალების გამო.

უკრაინის ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ლევიცი—უდიდესი პატრიოტის და დიდი ეროვნული სახელმწიფო მოღვაწე აკ. ჩხენკელის სიკვდილი წარმომადგენს უდიდეს დანაკლისს ყველა ჩვენგანისათვის. მიიღეთ ჩვენი თანაგრძობა.

სამუელნიანი—სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის სახელით თანაგრძობას უცხადებს ოჯახობას, საქართველოს სოც.-დემ. პარტიას და მთელ ქართველობას—დიდი მებრძოლი და კავკასიის ერთა უფლებების მედგარ დამცველ აკაკი ჩხენკელის გარდაცვალების გამო.

ახერბაიჯანელთა კავშირის თავმჯდომარე—ღრმა თანაგრძობას ვუცხადებ მთელ ქართველობას ასეთი მძიმე დანაკლისის გამო. ჩხენკელი იყო წარმომადგენელი მთელი კავკასიის. მას ხელი უწერია არა ერთ—კავკასიის ერთა სამეგობრო აქტზე.

ლატვიის მინისტრი—მიიღეთ ჩემი უგულითადესი თანაგრძობა თქვენი სახელოვანი მეუღლის გარდაცვალების გამო.

ლიტვიის ელჩი—მიიღეთ თანაგრძობა, როგორც ჩემგან პირადად, ისე ყველა იმ ლიტვიელთა, რომელნიც იცნობდენ აკ. ჩხენკელს, როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს.

ლუი მარენი: «იუგოსლავიის მეგობართა საზოგადოება»-ს სახელით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს უსამართლოების წინააღმდეგ სახელოვან მებრძოლი აკ. ჩხენკელის დაკარგვის გამო.

სენატორი მარიუს მუტე—ღრმა მწუხარებით გავიგე ჩემი მეგობარი აკ. ჩხენკელის გარდაცვალება. ჩემდა სამწუხაროთ ვერც პანაშვიდზე და ვერც დასაფლავებაზე ვერ შევსძელი დასწრება. დარწმუნებული ვარ არც თქვენ და არც ჩემი ქართველი მეგობრები ეჭვს არ შეიტანენ იმაში რა დიდ მწუხარებას განვიცდი იმ ადამიანის დაკარგვის გამო, რომელთანაც ერთად ვიბრძოდით დიდხანს.

პროფ. ედ. მილო (ყენევა)—ღრმად დამამწუხრა ჩვენი დიდი მეგობრის აკ. ჩხენკელის გარდაცვალებამ. გადაეცით ქართველ მეგობრებს ჩემი თანაგრძობა და მწუხარება.

ბალაიანი—ჩემი უღრმესი თანაგრძობა ოჯახს და მთელ ქართველობას.

პოლ რეინო—მიიღეთ ჩემი თანაგრძობა.

გენერალი კონინგი—გთხოვთ მიიღოთ ჩემი თანაგრძობა. უცხოეთში ყოფნის გამო ვწუხვარ რომ ვერ ვესწრები დასაფლავებას.

გენერალი მონკლერი—მწუხარებას გამოსთქვამს რომ ვერ ესწრება დასაფლავებას.

მაჟინოს სახელობის მხედარ-ინვალიდთა საზოგადოება— გვიან გავიგეთ ბატონი აკ. ჩხენკელის გარდაცვალება, ამიტომ ვერ გამოვგზავნეთ დელეგაცია დროშით. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა.

ქალბატონი აბ. შვეალიე—მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა.

ამერიკაში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობა.

ინგლისში არსებული ქართველთა სათვისტომოს გამგეობა გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას დიდი და დაუღალავი ქართველი საზოგადო მოღვაწის ბ. აკ. ჩხენკელის გარდაცვალების გამო.

იბ. წერეთელი (ამერიკა). მწარედ დამალონა აკაკის გარდაცვალების ამბავმა. ასეთი ამბავი ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, რადგან სწორედ ამ ცოტა ხნის წინეთ მივიღე მისგან სიცოცხლით საესე წერილი მისი სურათით, რომელსაც არავითარი ნიშანი დასუსტების ან ავადმყოფობის არ ედო. ფიქრით შენთან ვარ და ჩვენს დაუეიწყარ საყვარელ აკაკის დავსტირი.

ქართული რადიოს რედაქცია (მიუნხენი). გული დაგეწყვიტა ჩვენი ერის სახელოვანი შვილის აკაკის გარდაცვალებამ. დავკარგეთ საქართველოს დამოუკიდებლობის და სოციალდემოკრატიული მოძრაობის ერთი სახელოვანი მეთაურთაგანი. მისი სული მარადიულ სიმშვიდეს იპოვის დიდებულ ქართველთა პანთეონში.

ამერიკიდან—ილ. გოლდმანი ოჯახობით და ლ. არველაძე, პავ. კვარაცხელია, ქსენია სასანია, ისიდორე გაეონია, თედორე სარჯველაძე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საბჭო (ამერიკა) მთელი შემადგენლობით გამოსთქვამს უღრმეს მწუხარებას ძვირფასი აკ. ჩხენკელის გარდაცვალების გამო.

რუმინის ელჩი დიდნო—დიდი თანაგრძნობა ქართველ ერს დიდი მებრძოლის დაკარგვის გამო.

ქან-მარტენი (ქენევა). აკაკი ჩხენკელის გარდაცვალებამ მეტად შემაწუხა. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები, დიდი ხნის თანამშრომელნი ვიყავით მშვენიერი საქართველოს განთავისუფლების საქმეში.

უკრაინის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე სპ. დოვგალი უცხადებს თანაგრძნობას.

ლიონის სოც.-დემ. ორგანიზაცია—ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ჩვენი დამცველი, საქართველოს სრულ-უფლებიანი ელჩის აკ. ჩხენკელის დაკარგვის გამო.

სოშიოდან—ქართველ სათვისტომოს სახელით ალ. შათირიშვილი.

ნინო სალია—«ბედი ქართლისა»-ს გამომცემლობა მწარედ განიცდის საქართველოს ელჩის, სამშობლოსათვის დაუღალავი მებრძოლის აკ. ჩხენკელის დაკარგვას.

ექიმი ანტ. ჟორჟოლიანი—დაგველუბა დიდი ქართველი, დიდი მუშაკი. ვსტირი მის დაკარგვას. ვწუხვარ რომ ვერ ვესწრები მის დასაფლავებას.

აკ. პაპავა (არგენტინა). არგენტინაში მყოფი ქართველობა ღრმად განვიცდით ჩვენი ელჩის აკ. ჩხენკელის გარდაცვალებას. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა.

სან. კორძია (გერმანია)—აკაკის სახით დავეკარგეთ ადამიანი, რომელმაც მთელი თავის სიცოცხლე თავის ქვეყნის ბედნიერებას შესწირა.

თად. პასკევიჩი (ვისბადენი)—მიიღეთ ჩემი თანაგრძნობა. აბონდანიდან—კოსტანტინე გვარჯალაძე.

იქიდანვე—მონდობილებით ალ. ბებურიშვილი.

იქიდანვე—ჯორჯაძე. გამრეკელი, დადეშკელინი, ბეთანელი, მდივანი, კვაჰანტირაძე, ჭყონია.

გ. ნაკაშიძე (არგენტინა) მთელი ჩემი არსებით განვიცდი იმ მძიმე დანაკლისს, რომელიც წილად ხვდა მთელ ქართველობას აკ. ჩხენკელის გარდაცვალებით.

გრ. რობაქიძე (უენევა). ვუერთდები თანამემამულეთა საერთო მწუხარებას.

ქალბატონი ჟორჟ ბიდო უცხადებს თანაგრძნობას მთელ ოჯახს.

ვილ. ალენი და რაუ ორბიი—მიიღეთ თანაგრძნობა ჩვენი ორმოცი წლის მეგობარი ა. ჩხენკელის გარდაცვალების გმო.

ქალბატონი ნინო ჯაყელი და ა. გუგუშვილი (ლონდონი).

ბ. სუნეტიანი და ბუნეტიანი—მიიღეთ ჩვენი თანაგრძნობა.

ირაკლი ბაგრატიონი—გთხოვთ მიიღოთ ჩემი ღრმა თანაგრძნობა.

პროფ. ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეები გამოსთქვამენ მწუხარებას.

რ. ყიფიანი. ეს არის, ამ წუთში გავიგე აკაკის მწარე ბედი. უძლური ვარ სანუგეშო რამ გითხრა. საფლავის ქვასავით მძიმეა აკაკის ბედზე ფიქრი.

ვიქტორ ნოზაძე (სანტიაგო დე ჩილე). დაგვიანებით გავიგე ჩემთვისაც დიდად სამწუხარო ამბავი ძვირფასი აკაკის გარდაცვალების შესახებ. ვიცი, თუ თქვენთვის რას წარმოადგენდა აკაკი და ამიტომ უფრო შევწუხდი, თუმცა ყველა სიკვდილის შვილია. ჩემთვის აკაკი ჩემი ყმაწვილობიდანვე ძვირფასი პიროვნება იყო და საყვარელი კაცი.—მე არ ვეხები, რასაკვირველია, მის მოღვაწეობას ეროვნულ და სახელმწიფო სარბიელზე,—ეს არც იოლად შესაფასებელია, ისე დიდი იყო. ძალიან მაგოდებს ის აუცილებელი მოვლენა, რომ ხელიდან გვეცლებიან უკანასკნელნი მებრძოლნი და მათი ადგილი ცარიელი რჩება...

მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა და თანამონაწილეობა თქვენს მწუხარებაში და გლოვაში.

გ ვ ი რ გ ვ ი ნ ე ზ ი .

განსვენებულის კუბო შეამკეს ცოცხალ ყვავილების გვირგვინებით შემდეგ პოლიტიკურ პარტიებმა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა:

- საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტია.
- საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომო.
- ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირი.
- ქართული ეროვნული საბჭო.
- ქართული ეროვნული ცენტრი.
- «თეთრი გიორგი».

- ქართველ ახალგაზრდათა ორგანიზაცია.
- ლევინ - სენ-ჟერმენში მცხოვრებ თანამემამულეთაგან.
- საზოგადოება «ფუაიე»-საგან.

მიუნხენის რადიო «განთავისუფლება»-ს ქართული რედაქციისაგან.

იყო აგრეთვე მრავალი ყვავილების კონა, რომლებსაც ახლდა წარწერები,—ან სადარბაზო ბარათები.

საქართველოს ხელ. დემ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო და მისი ორგანიზაციები: პარიზის, ლიონის, მიუნხენის, ნიუ-იორკის, — ღრმა მწუხარებით აღუწყებენ პარტიულ ამხანაგებს და მიუღწეველ ქართველ ხალხს დაეხმებოდნენ კვების წევრის, პარტიის თავდაიბებულ მუშაკის, დაუღალავ პოლიტიკურ ვრდვნილ მოღვაწის და ჩვენი ჟურნალის ერთი რედაქტორთაგანის

გ რ ი გ ო ლ უ რ ა ტ ა ძ ი ს

ძიულდინგლად გარდაცვალებას.

გრ. ურატაძემ 9 თებერვალს ცუდად იგრძნო თავი და ჩაწვა ლოგინათ თავის ბინაზე. ოთხშაბათს 12 საათზე საჩქაროთ გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში და იმავე დღეს საათის 5-ზე გარდაიცვალა დაკრძალვა მოხდა 14 თებერვალს ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

რადგან ჩვენი ჟურნალი უკვე აწყობილი იყო—დაკრძალვის დღე—და მისი მოღვაწეობის დაფასება მოხდება მომავალ ნომერში.